

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



არაძალადობის სტრატეგიის ეფექტურობა ქვეყნის შიგნით

თამთა გახარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა გახარია

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	2
კვლევის მიზანი	5
ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
თეორია.....	6
სტრატეგია	11
არაძალდობა დემოკრატიულ ქვეყნებში	20
ბრინჯისკემის კამპანია	23
ნარინჯისფერი რევოლუცია: უკრაინის მაგალითი.....	26
არაძალადობა არა დემოკრატიულ კონტექსტში.....	36
მეთოდოლოგიის ანალიზი.....	37
დასკვნა.....	42
გამოყენებული ლიტერატურა :.....	44

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში არაძალადობრივი სტრატეგია გახდა მნიშვნელოვანი საკვლევო თემა მშვიდობის მკვლევარებისთვის და მეცნიერებისთვის. მიმდინარე გლობალურმა კავშირებმა და კონფლიქტებმა თემა კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

არაძალადობრივის ტრატეგია წარმოადგენს გავლენის მეთოდს და შესაბამისად ხდება ადამიანთა ქცევის და ზეგავლენის ტიპოლოგიის მეთოდების შემუშავება. ნაშრომში საუბარია არაძალადობის განმარტებაზე და ასევე ტიპოლოგიის კუთხით ზეგავლენის მოხდენის დადებით და უარყოფით ტექნიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკებს შორის განსხვავებების წარმოჩენას, დადებითი ქმედებების დანერგვა-განხორციელებას და უარყოფითი ქმედებების აღმოფხვრას.

არაძალადობის პირდაპირი ქმედებების მეცნიერული განხილვები ყოველთვის განიხილება ნორმატიულ, განსაკუთრებით კი მორალურ ჭრილში. თუმცა მორალურ ვალდებულებები ასევე განიხილება სტრატეგიულ განზომილებაში. როგორც ტედ გური აღნიშნავს, „დემონსტრაციებს და გაფიცვებს ყოველთვის აქვთ და ჰქონდათ ექსკალაციის და ძალადობრივ კონფრონტაციაში გადაზრდის პოტენციალი, არაძალადობრივი მოძრაობის მონაწილეები ფლობენ მორალურ უპირატესობას დასაწყისშივე ძალადობაზე უარის თქმით“¹

¹ Gurr, Ted, Robert 1993 Minorities at Risk. A global view of ethno-political conflicts. Washington DC

ნაშრომში განხილულია არაძალადობრივი წინააღმდეგობის სამი ტიპი თვისობრივი და დისკურს ანალიზის მეთოდების გამოყენებით: ინდირა განდი, მართინ ლუთერ კინგი, და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია არაძალადობრივი სტრატეგიის თვალსაჩინო მაგალითებია. თითოეულის როლი კომნიშვნელოვანია საკითხის განსხვავებული კუთხით სანახავად და განსახილველად. არაძალადობრივი ბრძოლის ველზე სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ძალის სამ ფუნქციას: თავდაცვა, შეკავება და იძულებას. როცა რეპრესიები მატულობს და ოპოზიციის შევიწროების ბერკეტები მცირდება, რეჟიმის ხელმძღვანელობამ შესაძლოა უარი თქვას ძალის გამოყენებაზე. საბოლოოდ, რეჟიმის სიმძიმის ცენტრის დასუსტებით „განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ“ შესაძლოა აიძულოს მთავრობა შეიმუშაოს ახალი საარჩევნო სტანდარტები, აწარმოოს მოლაპარაკებები მედიაციის მეშვეობით და საბოლოოდ გადადგეს კიდეც.

საბოლოო ჯამში კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაძალადობრივ სტრატეგია მისაღებია და წარმატების დიდი შანები აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში ვიდრე დიქტატორულ ქვეყნებში. მის წარმატებას კი დიდად განაპირობებს მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება და კონკრეტიკა.

შესავალი

არა ძალადობა, როგორც სტრატეგია დაფუძნებულია მორალურ პოსტულატებზე, სადაც ძალის გამოყენება არსებითად მიუღებელია და შემდგომ ეძებს გზებს დაუკავშიროს ის კონკრეტულს პოლიტიკურ მიზნებს.

შარფის მიხედვით : არაძალადობა არის პროტესტის, წინააღმდეგობის ჩარევის ფორმა ძალის გამოყენების გარეშე. როცა მონაწილეები უარს ამბობენ განახორციელონ მათზე